ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N 6
16.06.2022

განსახილველი საკითხები:

1. უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე მსჯელობა და საბჭოს განცხადება
2. ფაკულტეტის სადოქტორო დებულებაში ცვლილებების დამტკიცება
3. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება
4. ინსტიტუციური ეთიკის საბჭოს დებულების და სააპლიკაციო ფორმის დამტკიცება. ინსტიტუტების ახალი ხელმძღვანელების დამტკიცება
5. ახალი გაერთიანებული სადოქტორო პროგრამის "ფსიქოლოგია" განხილვა და დამტკიცება
6. ვ. გამსახურდიას სტატიის წარდგენა საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე
7. სხვა

ფაკულტეტის საბჭოს სხდომა გაიმართა ელექტრონულად.

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

<u>ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორები :

ლალი სურმანიძე, ია კუტალაძე, მზია წერეთელი, ანასტასია ქიტიაშვილი.

ასოცირებული პროფესორები:

მანანა მელიქიშვილი, ირინე ჟვანია, ეკატერინე ფირცხალავა, ლუიზა არუთინოვა, ხათუნა მარწყვიშვილი, თამარ აბაშიძე, მაია მესტვირიშვილი, ია აფთარაშვილი, ნინო ლაბარტყავა, შორენა მამუკაძე, მადეა დესპოტაშვილი, თეონა ლოდია.

<u>განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:</u>

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი.

ასოც. პროფესორი: იზაბელა პეტრიაშვილი.

სტუდენტები:

კენჭისყრაში სულ მონაწილეობდა **19 წევრი**

განიხილეს:

1. **უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე მსჯელობა და საბჭოს განცხადება**

სხდომაში მონაწილე საბჭოს წევრებმა იმსჯელეს უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე. საბჭოს წევრებმა ერთხმად დაგმეს ძალადობის გამოვლინება და აღნიშნეს, რომ ძალადობა სრულიად დაუშვებელია საზოგადოდ, და აკადემიურ საუნივერსიტეტო სივრცეში განსაკუთრებით. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ შეიმუშავა განცხადების ტექსტი, რომელიც განთავსდება ფაკულტეტის ვებგვერდზე.

საბჭომ კენჭი უყარა განცხადების ტექსტს.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: გამოქვეყნდეს ფაკულტეტის ვებ გვერდზე ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განცხადება უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

2. **ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება**

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ მათ დაეგზავნათ ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება გარკვეული ცვლილებებით და სთხოვა საბჭოს წევრებს მოსაზრებების გამოთქმა ცვლილებებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ დებულებაში შეტანილი ცვლილებები მისაღებია. საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფ. ი. ჟვანიამ კენჭისყრაზე დააყენა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: შევიდეს წარმოდგენილი ცვლილებები ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში.

3. **ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებების დამტკიცება**

ფაკულტეტის საბჭოს თამჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტმა უკვე იმსჯელა ფაკულტეტის დებულებაში შესატან ცვლილებებზე და პროფესორებმა შეაჯერეს მოსაზრებები, რაც ასახულია დებულების წარმოდგენილ ვარიანტში. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ დებულებაში შეტანილი ცვლილებები მისაღებია.

საბჭომ კენჭი უყარა ცვლილებებს ფაკულტეტის დებულებაში.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: შევიდეს წარმოდგენილი ცვლილებები ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში.

4. **ინსტიტუციური ეთიკის საბჭოს დებულების და სააპლიკაციო ფორმის დამტკიცება. ინსტიტუტების ახალი ხელმძღვანელების დამტკიცება**

ფაკულტეტის სამეცნიერო განვითარების სამსახურის უფროსმა, დ. ჩუბინიძემ წარმოადგინა ინსტიტუციური ეთიკის საბჭოს დებულების საბოლოო ვარიანტის ტექსტი, აგრეთვე სააპლიკაციო ფორმა.

კენჭი უყარეს: ინსტიტუციური ეთიკის საბჭოს დებულებას, აგრეთვე სააპლიკაციო ფორმას.

მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

5. **ახალი გაერთიანებული სადოქტორო პროგრამის "ფსიქოლოგია"** განხილვა და **დამტკიცება**

სადოქტორო პროგრამა „ფსიქოლოგია“ და სილაბუსები წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.

ასოცირებულმა პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოკლედ მოახსენა აკრედიტაციისათვის მომზადებული ახალი სადოქტორო პროგრამის „ფსიქოლოგია“ შესახებ:

- სადოქტორო პროგრამა დაფუძნებულია საქართველოს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და თსუ–ს დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტის მოთხოვნებზე. სადოქტორო პროგრამა აღწერს და განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, უმაღლესი განათლების

საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, კრედიტების რაოდენობას, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებს, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემას, დასაქმების სფეროებს, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანურ რესურსსა და სტრუქტურას.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შეადგენს 50 კრედიტს (სავალდებულო სასწავლო კომპონენტი შეადგენს 40 კრედიტს, ხოლო არჩევითი სასწავლო კომპოპნენტი შეადგენს 10 კრედიტს). კვლევითი კომპონენტებიდან სავალდებულოა: 2 კვლევითი პროექტი (სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში) და სადისერტაციო ნაშრომი.

ფაკულტეტის საბჭომ განიხილა წარდგენილი სადოქტორო პროგრამა.

ფაკულტეტის საბჭომ **კენჭი უყარა** აკრედიტაციისათვის წარდგენილ სადოქტორო პროგრამას

„ ფსიქოლოგია“.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ახალი სადოქტორო პროგრამა „ფსიქოლოგია“.

6. **ვ. გამსახურდიას სტატიის წარდგენა საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე.**

საბჭოს თამჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ პროფ. ვ. გამსახურდიამ განცხადებით მიმართა დეკანს სამეცნიერო პუბლიკაციისთვის ფულადი პრემიით დაჯილდოების თაობაზე. Baranski, E., Gardiner, G., Lee, D., Funder, D. C., Gamsakhurdia V. & Members of the International Situations Project. (2021).Who in the world is trying to change their personality traits? Volitional personality change among college students in six continents. Journal of Personality and Social Psychology: Personality Processes and Individual Differences. 121(5), 1140–1156. https://doi.org/10.1037/pspp0000389, იმფაქტ ფაქტორი:7.9. ინდექსირებულია web of science-ში. მან აღნიშნა, რომ პროფ. ვ. გამსახურდიას განცხადებაში აღნიშნული სტატია აკმაყოფილებს თსუ-ის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის საუნივერსიტეტო წესის პირობებს (ბრძანება N12/04, 19.05.2021). ამასთან, მას შესრულებული აქვს სახელფასო კატეგორიით განსაზღვრული მინიმალური სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, წარმოდგენილი პუბლიკაცია არ წარმოადგენს მისი მინიმალური სამეცნიერო დატვირთის ნაწილს და ამ პუბლიკაციისთვის მას არ აქვს მიღებული თსუ-ს ფინანსური ჯილდო 2022 წელს.

კენჭი უყარეს: ვ. გამსახურდია წარმოდგენილი სამეცნიერო პუბლიკაციისთვის დაჯილდოვდეს ფულადი პრემიით.

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს: ვ.გამსახურდიას სტატია წარედგინოს ადმინისტრაციას თსუ-ის ფულადი ჯილდოს გამოსაყოფად

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე



საბჭოს მდივანი: ასოცირებული პროფესორი ირინე ჟვანია